ხელშეკრულება
სახლმწიფო შესყიდვის შესახებ №30/12–03

თბილისი 30 „დეკემბერი“ 2020წ.

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1. ერთი მხრივ, შპს ,,აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა, შემდგომში „შემსყიდველი“, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ლევან გოფოძის სახით და მეორე მხრივ, შ.პ.ს ,,ავერსი-ფარმა" შემდგომში „მიმწოდებელი“, კომერციული დირექტორის ეკატერინე მიქელაძის (მინდობილობის სარეგისტრაციო #200490943, ინდივიდუალური #69357766157220) სახით ვდებთ ხელშეკრულებას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, შემდეგზე:.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1.შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა საკუთარი შემოსავლების ფარგლებში,სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე ბრძანება #13-ის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე ორგანიზაციის საჭიროებისათვის ფარმაცევტული პროდუქტების (CPV კოდი: 33600000) შესყიდვაზე. მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს ზემოაღნიშნული საქონელი 53247,75 (ორმოცდაცამეტი ათას ორას ორმოცდაშვიდი ლარი და 75 თეთრი) ლარად.

3. **შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები**

#	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი, ლარი	საერთო ფასი, ლარი	მოქმედი ნივთიერება
1	ინფულგანი 10მგ/მლ 100მლ ხს/ინფ	1020	3,5	3570,00	Paracetamolum
2	მეტრონიდაზოლი 5მგ/მლ 100მლ ფლ	1020	1,3	1326,00	Metronidazolum
3	ასპარკამი #50ტ	60	0,9	54,00	Kalii+Magnii asparaginas
4	ტოპტი 500მგ #10ტ	320	27	8640,00	Azithromycinum
5	მეტიპრედი 4მგ #30ტ	30	8,04	241,20	Methylprednisolonum
6	დიკლოფენაკი რეტ100მგ #20ტ(ჰემფ	15	3,71	55,65	Natrii diclophenacum
7	ტრომბო ACC 100მგ #100ტ	30	7	210,00	Acetylsalicylic acid
8	ადრენალინ დარნ.0.18% 1მლ #10ა	300	3,89	1167,00	Epinephrinum
9	კორსიზი #10ტ	50	1,15	57,50	Bromisovalerian ac+Phenobarbital+Menthae
10	გეპარინი-ინდარ5000სე/მლ5მლ#5ფლ	400	47,5	19000,00	Heparinum natrium
11	ნატრიუმის ბიკარბონატი8.4% 20მლ	960	3,39	3254,40	Natrii hydrocarbonas
12	დიგოქსინი 0.25მგ/მლ 2მლ #10ა	10	21,7	217,00	Digoxinum
13	პრიმაცეფი 1გ #1ფლ კუნთ/ვენ	3500	4	14000,00	Cefepimum

14	რაციოცეფი 1გ #1ფლ	1500	0,9	1350,00	Ceftriaxonum
15	ვარფარექსი 5მგ #100ტ	5	21	105,00	Warfarinum
	ჯამი			53247,75	

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. ვადები:

4.1.1. პროდუქტის მოწოდება განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.1.2. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება შეიტანოს გრაფიკში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

4.2. ადგილი:

4.2. ქ.თბილისი, ვაჟა–ფშაველას #29, საქონლის შესყიდვის მომენტად ითვლება აღნიშნულ მისამართზე მხარეთა მიერ სასაქონლო ზედნადების გაფორმების თარიღი, რა მომენტიდანაც შემსყიდველზე გადადის 6.1. პუნქტით გათვალისწინებული საკუთრების უფლება;

5. ხელშეკრულების ღირებულება, ანგარიშსწორების პირობები

5.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება;

5.2. მიწოდებული საქონლის ანაზღაურება იწარმოება, დადგენილი წესით წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტების ან სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში;

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი უნდა გაფორმდეს სასაქონლო ზედნადებით ან მიღება-ჩაბარების აქტით, რომელთა ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს, რომელიც პასუხისმგებელია შესაძლო რისკებზე – საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე. აღნიშნული დოკუმენტის გაფორმების მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

6.2. „მიმწოდებელი“ საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში წარუდგენს „შემსყიდველს“ შესრულებული მიწოდებულ საქონელზე შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს ან სასაქონლო ზედნადებს.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. უზრუნველყოს შესყიდული საქონლის მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.1.2. გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

7.1.3. განახორციელოს ფინანსური და საბუღალტრო ანგარიშგება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში წინასწარ დადგენილი წესის მიხედვით;

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ ადექვატური და დროული დაფინანსება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ან სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მიწოდებული საქონლის ხარისხისა და მოცულობის კონტროლი;

8.2.2. აწარმოოს შესრულებულ სამუშაოთა ფინანსური და ორგანიზაციული მონიტორინგი როგორც გეგმური, ასევე მიმდინარე;

8.2.3. შეცვალოს ანგარიშგების ფორმები დადგენილი წესით, რის შესახებაც ერთი თვით ადრე წერილობით უნდა აცნობოს „მიმწოდებელს“.

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიწიური მოვლენები. აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები. თუ ისისნი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულ;ების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოაბათან დასრულების შემდეგ.
9.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მე ხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კონპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
9.3. მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა
10.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ერთი თვით ადრე.ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა
11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს ხოლო ასეთ შემთხვევასი დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების/გადასახდელიო თანხის 0.05%-ის ოდენობით, ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით.
13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს „შემსყიდველს“ უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

14. ინსპექტირების პირობები
14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს უფლებამოსილი პირი.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ.
15.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2021 წლის 1 თებერვლის ჩათვლით.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1.ხელშეკრულება შედგენილია .ქართულ ენაზე, ერთ ეგზემპლარად და ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით, რომელთაგან თითოეული მხარის ელექტრონულ ვერსიას აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

<u>მხარეთა რეკვიზიტები</u>

`შემსყიდველი~
შპს `აკად. ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალური
საუნივერსიტეტო კლინიკა“
ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ.#29
ს/კ 205165453
ს.ს. `ბანკი ქართუ“
b/k CRTUGE22
a/a 87CR0000000000023402

,,მიმწოდებელი“
შპს „ავერსი-ფარმა“
თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N148
ს/კ # 211386695
ს.ს. „საქართველოს ბანკი
ბ/კ #BAGAGE22
ა/ა #GE06BG0000000122932100

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ლევან გოფოძე

კომერციული დირექტორი
ეკატერინე მიქელაძე